



# მეატრი



საეკლესიო-კვირაო ლიტერატურული და მსატრობითი გასეთი.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით სელის მოწერა არ მიიღება. წალკე სომეხი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. სელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მისწავრებთათვის აღრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.



## მეოთხი \*)

ღიგნდა ღერმონტოვიდამ)

ჭარხნი გარბის. ბრძოლის ველს სტოკებს.  
გარბის საბრალა ზარ დატეული.  
იქ დარჩენ ქმები, თანამომეხი  
და მამა მისი გაჭადრებული.  
დასტოვა ველი სად ჩერქეზებთა,  
აღურიცხველი სისხლი იღვრება  
და სადაც გროვა მამულის შვილთა  
შამილის ჯარსა თავსე აკვდება.  
მას აღარ ახსოვს წმინდა აღოქმანი,  
სულ მთლად ივიწყებს ჰატიოსსებას.  
იარაღს ფანტავს და გამომფრთხალი  
აღარ დაეძებს სისხლას-ძიებას.  
მსეც დაეწურა. მიდამო მინდვრებს  
ნისლი მოიცავს, ფარავს და სურავს.  
სიგრილე დაჭირის და მედიდურად  
ზირბადრი მოვარე ცაზე მიტურავს.  
გზით დაღაღულსა და ღონე მისდილს  
სისხლა და ოთელი ერთად ჩამოსდის,  
მაგრამ ის მაინც მიეშურება:  
გორაკზე არბის, ღრეში ჩამოტბის.

ჭა! მოვარას სსივსე იმან ისილა  
ცნობილი ეზო, სახლი და კარი.  
იგი სასლასკენ გაეჭანება.  
სიხუძე მეფობს. არ იძვრის ქარი.  
სასლის საჩქელიდამი გარდმოვსებას  
თვალთ-მიმზიდველი მერთალი ნათელი.  
სჩანს სასლის ჰატროსს ვერეთ არ სძინავს  
და ჭირისუფლობს სხუელს ნათელი.  
კარსაც გააღებს. აღრე სელიმი  
მას კარგად სცნობდა და მეკობრობდა.  
ესლა მოსუცი, იგი უძლეური,  
სენით ზურობილი, სულსა ებრძოდა.  
„დიდ არს ალღახი, რომ მომაკვდავთან  
მის ანგელაზად ჩამოფრენილსარ.  
ჩვენს დიდებასეკ ნუღარ ჭგვიანობა,  
ახალი რამე მიამბე, მითხარ!“  
ჭკითხს სელიმმა ესლად მოსულსა  
და მომაკვდავის ერთსელ მხნე გული  
ატოკდა კვლავად.—სისხლი აინძრს  
ძეელი გრძნობებით აღუღებულა.  
„ორი დღე ღამე მედგრად ვიბრძოდით:  
მომიკლეს მამა, მომიკლეს ძმები  
მე გამოვიქმცე. სულ ოხრად დაგვრჩა  
გაუიგაცობა და იარაღები.  
მთლად დაგაწრული ქვიშით თუ ეკლით  
გამოკენდევი ვერ უცნობ გზებსა,  
სად აქამომდე გასჭირვებიათ  
გავლას თვით მსუცებს, ტყისა უფლებსა.“

\*) Вѣглецъ.



ლევი გვერევა. იღუპვის მსარე.  
 მამაშვილობას შენ მომეხმარე!  
 ღმერთი თავდები, გადგინებო  
 ოღონ ესლა კი სადმე დამივარე!“ —  
 „გასწი, გამშორდი, შე საზიზღარო!  
 ლოცვა გურთხევას ხემგან ნუ ელი.  
 მშიშარ-დაცხა ხემთან რა უნდა?  
 წა! გამეცალე, აილე სელი!“  
 ჭარუნი კვდება სინცხვილისგან.  
 გარში გამოზის, მასხინძელს სტოვეებს  
 და აღსებული უცხო წამებით,  
 თავისებურად გზას შეუტევენს.  
 ერთს ხანს შეჩერდა. წასრულ ცხოვრების  
 ტკიბილი წამები მოაგონდება,  
 და დაღაღული სულის ბრძოლისგან  
 სიტოცხლე წამით დაუამდება.  
 იგი დამშვიდდა. დამის წევდიადში  
 თითქო მოესმა მას საყვარლის ხმა!  
 და კვლავ ანთო დამშვიდებული  
 სიჭაბუკისა ნაზი გულის თქმა.  
 ჭიჭირობს: „იმას ვახსოვარ კადე!“  
 უნდა შევიდეს მგერამ რას სედავს?  
 სიმღერა ესმის, ძველი სიმღერა—  
 ამით დედა ელდა სცოდავს.

„რასე ცურავს, წყნარად მთვარე,  
 ნახად ჭკრთიან ვარსკვლავები,  
 ვაჟი-ვატი ომში მიდის—  
 იმის სახელს ვინაცვლები.  
 თათვს სტენის და საყვარელი  
 ყელს ესგება, კონებს  
 „ხემო სულო, ხემო გულო  
 მაკმარე ეს ტანჯვა-ვინება.  
 ღმერთს ეკადრე და მის მაქმედს,  
 ნუ მოადრეკ ამაე თავ-ქედს.  
 მიენდებო უდრდტვინვლად  
 შენსა სახელს და შენსა ბედს.  
 მაშინ, მენდვე, საყვარელი  
 ერთი ასად შეგიფარებს.  
 მესანათის მწარე წელურებს  
 ზეცით ნამი არ ავკურებს,  
 და მსეტები იმის ძვლებსა  
 შავს მიწას არ მიაბარებს.  
 ტურთვა ქალიც არ აღარსებს,  
 მოამის ორგულს, მწარე ცრემლებს  
 და უღინსსა სიყვარულსა  
 წვეკლა კრულვით შეახვეებს.“

ჭარუნი ესრე გაწამებული

გარბის და უგან არ ისედება.  
 ცრემლი მდუღარე მას თვალებიდგან  
 ნაკადულივით გადმოსდუღავება.  
 ესრე მომკვდარი სანუგეშებლად  
 მშობლიურ სახლსა ზე წაწუდება  
 და კვლავ იმედით სუგეშ-ცემული  
 ნაცნობ კარებსა ერაგუნება  
 ალბად იმ სახლში იმისი დედა  
 თავის ქმარ-შვილთა ღმერთსა აკედრებს;  
 ომში წასულთა უგან მოკლის,  
 მტერზე სასტიკად გამარჯვებულებს.

„გარი გამოლე შენსა ჭარუნსა,  
 დედაე მიშველე, ზინა მომეცი!  
 დიდის ვაგლახით და გასაჭირით  
 ლეკებს უგნებლად გამოკვიპცი!“ —

— „მარტოკა შენ ხარ?“

— „დიად! მარტოკა“.

— სად არის მამა და შენი ძმები?“

— „დახორცეს.“

— „შერმე გარდაუხადე?“

— „არა დედილო, რას მკუბნები“,  
 იგინი მოჭლეკ. დიდმა უფელმა  
 წადებისა იმითი სული.  
 მე გამოვიქეცე ნუგეში მოგნე  
 და გავიქარწელო გულას ალმური.  
 ანუ თავლებზე, ნაზი ალერსით,  
 მოგწმინდო, დედი, ცრემლთ ნაკადული“.

— „სუ! სმა გაემიდე, შე უზირისწელო!  
 გასწი ნუ მარცხვენ მოხუცებულსა!  
 წუნკადა ლეკებს გამაქცევისარ  
 და ხემგან ითხოვ ზინას, სადგურსა?  
 შენა ხარ უშნო, შენ ხარ მშიშარო.  
 ბა, გამეცალე, გამშორდი ჩქარა!..“  
 გასწედა ეს სმეა უარყოფისა.  
 ირგვლივ სინუშე კვლავად გამეფდა.  
 ჭარუნი წვეკლით, კვნესით, გოდებით  
 შებრალბისთვის დედას შეეფედა.  
 უგანახეულად თავის სინცხვილი  
 მოსპო საბზლომ სატყუართა.  
 დედამც დიდსა თვალი გაავლო,  
 გამოუთქმელი გულ-გრილობათა,  
 და იმას ლეში არგინ სამარეს



არ მანათა ჩვეულებითა  
 სისხლს, მის წყლულადმ გადმონადენს  
 ძალი სლავად, თავზე დადრენდა  
 და პაქშეუთ გროვს შუურ-ცეოფით  
 ღანძლვა-გინებს ცივ ლეშს შიჭუნდა.  
 იმის სიკვდილი, იმის სიძვრული  
 მაგალითად აქვს ესლავ იმ მხარეს.  
 მისი აჩდილი უარ-ყოფილი  
 ესლავ დაბარვას იმ არე-მარეს.  
 თვით დეთის რისხვისგან განზინებული  
 რიურაჟის სანზე კაწს აჯუკუნებს,  
 და საცოდავის უცხო რამ სმებით:  
 „შემიწყალო!“ დედას უწოდებს.  
 მაგრამ აფეორნის წმინდა სიტყვებით,  
 როგორც ბრძოლისგან, უგუ იქნება  
 და მას თან მისდევს ღრმა შეჩვენება,  
 შეჩვენებასთან კრულვა და წვევა.

რ. აღისუბნელი.

*(ჩაუბ. ჩიხვიძე)*

ახალი ამბები

*იერუსალიმის მომავალი*

◆ ჩვენ გვატობინებენ, რომ ჰუთარის ქართულ ემანუელ კაცებს) რუსულის ენიდამ გადმოუთარგმნიათ საქართველოს ისტორიის მწერალის თ. სულხან ბარათაშვილის საქართველოს ისტორია. ეს ისტორია სამ ნაწილად გაყოფა და მიაწევს მეთორმეტე საუკუნის დასასრულამდე. როგორც ვიცით, ქართულს ენაზე ეს ისტორია გვარიან ადგილს დაიკავენ და ამიტომ კი იქმნება, რომ მალე გამოსცენ.

ამ ისტორიის დასაწყისი, თვით განსვენებულის ბარათაშვილის თხოვნით ადრე გადმოსთარგმნეს ქართულათა და 1863 წ. «საქართველოს მოამბეში» დაბეჭდეს როგორც ვიცით ჩვენა. ეს თარგმანი საქმარის გვარიან თარგმნათ ითვლება და უეჭველია, რომ ამ ადგილებს ახალს თარგმანში შეუცვლელათ შეიტანენ, ეს მით უფრო, რადგანაც იმ დროს ბარათაშვილი ცოცხალი იყო და თვით იგი ავლებდა თვალს თავის ისტორიის თარგმანს.

შევიტყუთ აგრეთვე, რომ ამ ისტორიის გამოცემის ნება-რთვისთვის თბილისშიაც მოუმართათ ამავე ისტორიის გამოცემის ბ. ბერენშტამის მეუღლისთვის, რომ გამოცემის ნება მოგვეცო. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ბარათაშვილის ისტორიის გამოცემის სრული უფლება ბერენშტამს მხოლოდ ერთ გა-

მოცემისთვის ჰქონდა და არა სამუდამოთ. ბარათაშვილის თბილისში მემკვიდრე ჰყავს და თუ ვინმე ისურვებს ამ ისტორიის გამოცემას და მიმართენ მას თხოვნით, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ იგი სიამოვნებით დაუთმობს ნება-რთვას.

◆ თბილისში, ერთ ქართველ მანუელ კაცს, რუსულის ენიდამ გადმოუთარგმნია ბ. ბენკოვის სრული გამოცემის „რობინზონ კრუზო“. კარგი იქმნება, რომ ეს სრული და სასიამოვნო საუმაწვილო წიგნიც თავის დროს ცალკე წიგნათ იქმნეს გამოსული.

◆ წრეულს სამი ქართველი ემანუელი მიემგზავრება მეროპაში სასწავლებლად, ერთი უკვე წასულა მენაში და ორნიც მალე წავლენო, ყველა ამათ სამეურნო საგანი ამოურჩევით სასწავლებლათ.

◆ ჩვენ შევიტყუთ, რომ მომავალ წლიდამ წერა-კითხვის სამართველოს ძველი წიგნების (წიგნთ-საცავისთვის) სხვა სახლი იქმნება გაკეთებულიო. ამ სახლს სააზნაურო ბანკის მახლობლივ ააშადებენ. გვაუწყებენ, რომ ოთახში არსად ერთი ნაქერი ფიცარი არ იქმნებაო ჩატანებული. მთელი ოთახი მარტო ქვითკირისაგან შესდგებაო, რომ ცეცხლის შიშს მოშორებულნი იყოსო.

◆ „ივერიაში“ ბანკის განცხადებების ბეჭდვა უკვე დაიწყო და ვისაც მამულეზს ყიდვა სურთ, მათ შეუძლიანთ, რომ ეს განცხადებანი ნახონ და მით იაფათ იყიდონ ზოგათა მამულეზი.

◆ ანტონ ძათალიკოზის საღეთის მეტყველო წიგნი «მზა მეტყველების» ბეჭდვა თავდება და მალეც გამოვა ცალკე წიგნად. ამ წიგნის გამოცემა ეპისკოპოზს ალექსანდრეს ეკუთვნის.

◆ ძვირას, 20 აპრილს, დიდი ძალი ხალხი დაესწრო კვირაცხოვლობის დღესასწაულს და ბევრს ალაგს ჭიდილის და კრივის დასაწყისებაც გამართეს.

◆ ჩვენ მივიღეთ დასაბუქლათ შემდეგი წერილი:

ბატ რედაქტორო! გთხოვთ უმოჩილესად მომცეთ საშუალება თქვენის პატივცემული ვაზეთი «მეტრის» საშუალებით უგულოთადესი მადლობა გადაუხალო შვირილის პირველი გილდის მოვაჭრეებს პავლე მოსეშვილს და იორდანე სინარულიძეს—პირველს ოცი მანეთის შემწეობის აღმოჩენისათვის და მეორეს თხუთმეტი მანეთისა.

ხონის სამასწავლებლო სემინარიის უფროს კლასის შეგირდი ტარასი მიხეილის ქე გაჩეხილადქ.



◆ აქამდის კერძო პირების მატყუარობას უჩი-  
ოდით ხოლმე და ახლა იმასაც მოეცნა, რომ  
ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება  
აჰყვა ფეხის ხმას და ცეცხლზედ ნაეთი დაგვისხა. საქ-  
მე იმაშია, რომ ამ ცოტა ხნებში ამ საზოგადოე-  
ბამ შკაპის გაკეთება მოისურვა თავის მრავალ-  
მნიშვნელოვანი უთრუთიან - ვასრამიანების გამო-  
ცემების დასაცემად და მიმართა რამდენიმე  
ხელოსანს, მაგრამ იმ ზომისა და მასალის შკაპი,  
როგორც მათ სურდათ, არავინ არ გაუკეთა ოთხ  
თუმანზედ ნაკლებ და თანაც ბესა სთხოვედნ. მართა  
სინილისიერმა ხელოსანმა კი, რომელზედაც საზოგა-  
დოების მცრობმა კაცმა მიუთათა, იმავე შკაპის გა-  
კეთებაში სამ თუმანს გაურიგდა და უბედოდ დაენდო  
საზოგადოების პატიოსან სიტყვას. შკაპი მომზა-  
დების შემდეგ წარუდგინა საზოგადოების მდივანს  
რომელიც შემდეგის სიტყვებით შეხვდა ხელო-  
სანს: „შკაპი იმ ფერისა და მასალისა არ არის,  
როგორც ჩვენ გიბრძანეთ და ამიტომ საზოგადოების  
გადაწყვეტილებაა ხუთი მანეთი უნდა დაიკლო“. შკაპი  
კი იმ ფერისა და მასალისაა, როგორც მათი ძველი  
შკაპი, რომლის ნიმუშიც ხელოსანს აჩვენეს. ხელო-  
სანი ბევრი ევიცა, ბევრი ეუბნა, მაგრამ ბ. მდივანი  
გაჯაქდა და შემდეგი სიტყვები უთხრა: «ჩვენ ასე  
გიბრძანებთ და რაც გერჩივოს ისა ქენიო!»

აქ რა შუაშია საცოდავი ხელოსანი, რომელ-  
საც სრული ორი კვირა უმუშავინა შკაპზედ და ცხლა  
დაპირებულ ფულზე უარს ეუბნებიან, მხოლოდ იმ  
მიზეზით რომ მდივნის გემოვნებას ვერ აქმაყოფი-  
ლებს.

◆ სამუშაოს, 29 აპრილს, არწრუნისეულ თე-  
ატრში სომხური დრამატული დასი იწყობს წარმოდ-  
გენების გამართვას. წარმოდგენები იწყობა შექსპირის  
ტრაგედით „ჰამლეტი“. ჰამლეტის როლს ითამაშებს  
ბატ. ადამიანი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ქ. მარკსის «კაპიტალის» II ტომი.

(გამოცემა 1885 წ. ჰეტერბურგში)

ღღეს, ჩვენ, ერთ უდიდეს მეცნიერ პოლიტიკო-  
ეკონომიურ მწერლის წიგნის შესახებ გაკვრით ლა-  
პარაკს ვაპირებთ და იმედია, რომ ჩვენი ლაპარაკი

უყურადღებოთ არ დაჩეხა და მრავალთათვის თუ  
აზა, მცირე ნაწილსთვის მაინც იქმნება სასიამოვნო  
და სანუკი. ეს მით უფრო, რადგანაც აწინდელ კაცობ-  
რობის ეკონომიურმა მეცნიერებამ და კრიტიკამ ისეთ  
წერტილამდის მიადწია, მარკსის მეგობრებო, რომლის  
მსგავს და შესადარებლად ჯერ დიდი ხანი გავა, რომ  
გამოვიდეს ვინმე. კარლ მარკსის «კაპიტალის» მეო-  
რე ტომის გამოსვლასა და არსებობა! ჯერ-ჯერობით  
ჩვენს გონებით მოძრაობასთან და ლტოლვილებას-  
თან დიდი რამ კავშირი არა აქვს და მარკსის შრომა  
უფრო მეტობის რაციონალურ შეილებთა საითხავ  
და სანუკ განძათ არის მიღებული. მაგრამ, თუ ჩვენც  
ეს ცოცხლობთ დედამიწაზედა, თუ ჩვენც გვაქვს რამის  
გრძნობა და ძალოვნება, თუ ჩვენც ვითვლებით სა-  
ზოგადო ცხოვრების აგებულებაში, რამე ნაწილია,  
მაშინ კი არ შეიძლება, რომ ამ გამოჩენილის და  
უდიდეს დემოკრატიულ-პოლიტიკო-ეკონომიურ მეც-  
ნიერ მწერლის წიგნის გამოსვლის შესახებ რამე ცნო-  
ბები არ ვიცოდეთ. მინც უნდა რამ სთქვას, ვინც  
უნდა დაგვიჩაზოს, რომ რა ჩვენისთანა ხალხის საქმეა  
მასზე საუბარიო, ამ გვართ პართ წინააღმდეგ ჩვენ  
ჩვენის ენტუზიაზმით პირნათლად გავახსენებთ და მო-  
ვავონებთ გამოჩენილის და მსწავლულის ნ. ჩ. სიტყვებს,  
რომ ჩვენ არ უნდა მოგატყუალო ჩვენს თავს იმ უშეც-  
რებით, რომ ვითომც ერთ რომელიმე კერძო პირს სა-  
ზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა არ შეუძლოს,  
უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველ კერძო პირის შრომასაც კი  
მნიშვნელობა აქვს და იგიც საზოგადო ცხოვრების აგე-  
ბულებაში მონაწილეა, თუნდა მისი შრომა რომ სულ მაკ-  
როსკოპიული იყოსო.

ამიტომ მე თავისუფლად შემიძლიან ვსთქვა,  
რომ ვინც რამ უნდა სთქვას, ვინც როგორ უნდა  
მიიღოს ამაზე სჯა, მე მინც თამამათ მიუგებ თვით  
გამოჩენილის კარლ მარკსის «კაპიტალის» პირველ  
ტომში დაბეჭდილს ლათინურს ანდაზას, რომ ვინც  
რამ უნდა სთქვას, მე კი მინც ჩემსას გავაკეთებო.  
მეც ასევე ვიზამ და მიღება და წაკითხვა ამისა ყველას-  
თვის ნება ყოფლობით იქმნება. ჩვენ ჩვენის მეტა-  
ფიზიკების მსგავსად ცაში არ დავიწვებთ ფუნდსა და  
„კაპიტალის“ შესახებ აღძრულს საუბარში სხვაზედ  
არ ვილაპარაკებთ, აქ ყოველი ცნობა დაუკუნებელი  
იქმნება ნამდვილს და სწორე ცნობებზე და სუბექ-  
ტიურს კრიტიკულს მხარეებთან ერთობ შორს მდგარი  
და შორს დაჭერილი.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, მრავალთ ჩვენ  
ქმნილ კაცებს წაკითხული თუ არა გავაჩინილი მინც  
ექმნებათ გამოჩენილის და დიდათ მტოდნის პოლი-  
ტიკო-ეკონომიურ მწერლის, ძრიელი კრიტიკოსის



კარლ მარკსი სახელი. მიღრე ჩვენ აქ მარკსის „კაპიტალის“ მეორე ტომის შესახებ ვიტყვით რამეს, მინამდის ვალად ვსდებოთ, რომ რამდენიმე სიტყვით ჯერეთ კარლ მარკსის ცხოვრების და ვინაობის შესახებ მოგვეხსენა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ეს შემდეგისთვის გადავსდეთ და აქედამ კი ისევ მარკსის თხუზულების „კაპიტალის“ მეორე ტომის გამოხსენას შევუბნებით.

პარლ მარკსი არის წარმომადგენი ახლის პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებათა რაციონალურის სკოლისა, რომლის რეალურს ეკონომიურს მხარეებთან და აზროვნებასთან თითქმის მჭიდრო კავშირი აქვს ყოველ ნაირს მეცნიერულს აზროვნებას. მარკსის ძრიელი შრომის და ვინაობის ამბები დიდი ხანია რაც მეროპაში განისმის და თვით რუსულს ჟურნალებშიაც კი უწყურიათ ამის შესახებ და უეჭველია რომ ჯერ ბევრსაც დასწერენ, მაგრამ ჩვენში კი ამის შესახებ სიტყვაც არ დაძრულა ამაზე.

ზამოჩენილი ვიღღ ლაველი თავის თხუზულებაში დიდ ადგილს აძლევს მარკსსა და თუმცა ერთის მხრით იგი ჰკიცხავს მას, მაგრამ მეორეს მხრით მაინც შეუღარებელ მცოდნე პირათ სახავს პოლიტიკო-ეკონომიურს მეცნიერებაში. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ლაველის კიცხვა მარკსის ქებათ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ლაველი ევროპიული ბურჟუა და ამ ბურჟუაზულს მიმართულებასვე ეკუთვნის. მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ლაველიც დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ ძრიელ კრიტიკოსის შრომასა და სახელს.

ამ ძრიელი და უშესანიშნავესი კაცის თხუზულებათა «კაპიტალის» პირველ ტომის რამდენიმე რვეულები ნემენცურს ენაზე 1859 წ. გამოიცა. მსვე გამოცემა იმავე დროს სხვა-და-სხვა ენებზედაც გადასთარგმნეს და მის გამო ბევრმა უშესანიშნავეს მწერლებმაც ისაუბრეს, არჩიეს, არკვიეს და მარკსის საწინააღმდეგოთ მაინც ვერა გააწყეს რა. შემდეგ წლებს პირველ რვეულს შემდეგეც მიემატა და მით გათავდა «კაპიტალის» პირველი ტომი 1865 წ. მარკსის სხვათა მოწინააღმდეგე პირთ გარდა თვით მისივე ნაშაგირდელი ფერდინანდ ლასალიცკი ეწინააღმდეგებოდა და როგორც თვით მარკსიც სწერს, ჩემის „კაპიტალიდამ“ ლასალმა ბევრი აზრები და ცნობები მომპარა, რომლებიც მან დაისაკუთრა და თავისებურათ განაგრძო და შეამუშავა.

მარკსის «კაპიტალის» პირველი ტომი ამ უკანასკნელს დროს რუსულათაც გადმოსთარგმნეს და 1885 წ. პეტერბურგში ცალკე წიგნათაც გამოცეს. ეს გა-

მოცემა რუსის საზოგადოებამ დიდის აღტაცებით მიიღო და უნდა შევნიშნოთ, რომ იმ წელიწადსვე ისე მალე გასაღდა ეს უშესანიშნავესი თხუზულება, რომ მეორე წელიწადს შოენა აღარ იყო და მრავალნი მსურველნი ეგზ. 25 მან. აძლევდენ, მაგრამ მაინც ვერსად შოულობდენ. პირველი ტომის გამოხსენის შემდეგ გავიდა კარგა ხანი და მეორე ტომი არსად სჩანდა. 14 მარტს 1883 წ. გარდაიცვალა კარლ მარკსი და მის სიკვდილის შემდეგ გაისმა იმ ცნობების ხმები, რომ კარლ მარკს თავის კაპიტალის მეორე ტომი გათავებული დაჩინაო, მხოლოდ ზოგიერთი რვეულები შავათ არის დაწერილი, ამას გარჩევა უნდა, გადაწერა და დაბეჭდაო. ყველა ეს შრომა, გარჩევა, გადაწერა და გამოცემა იკისრა გამოჩენილმა და განვითარებულმა მწერალმა ბ. მნგლესმა. ამ შრომის მიღება და შესრულება თვით მარკსსაც უთქვამს თავის ქალისთვის, რომ „ქაღალსმა უნდა გააკეთოს ზოგა რაო“. ენგლესი კარლ მარკსის ძველი მეგობარია და მასთანვე დიდად მცოდნე პოლიტიკურ-ეკონომიურის სწავლის და სხვა-და-სხვა მეცნიერების.

მნგლესმა მიიღო შრომა და 1885 წ. ლონდონში უკვე ცალკეც გამოცა «კაპიტალი», რომელსაც დაურთა თვისი წინა სიტყვაობა და მოიხსენა ყველა იმ შრომათ ცნობები და შენიშვნები, რაც კი მას გაუყეთებია მარკსის „კაპიტალის“ გარჩევის, გადაწერის, რვეულების რიგზე დაწყობის და გამოცემაში.

შრიდრიხ ენგლესის გარდმოცემით, კარლ მარკსს „კაპიტალის“ მეორე ტომის წერა 1865 წლიდამ დაუწყებია და 1883 წ. უწყურია, უშალაშინებია და უსწორებია დიდის ყურადღებით, მაგრამ ამდენი ხნის ნაშრომ—ნაღვაწის გამოცემა მაინც ვერ გაუბედინა და ისე გამოხალმებია ეს ძრიელი კრიტიკოსი კაპიტალისა, თავას 18 წლის შრომას.

მარკსის «კაპიტალის» გამოცემას მთელი განათლებული ქვეყნებთ მწერლები და განათლებული შვილები დიდის სიხარულით მიეგებნენ და ეს უშესანიშნავესი მეცნიერებითი სავეს თხუზულება იმავე წელიწადს რუსულს ენაზედაც გადმოსთარგმნეს და 1885 წ. პეტერბურგში ცალკე წიგნათაც გამოცეს.

ზამოცემა შესანიშნაუ მშვენიერი რამ არის, პირველი ტომის ზომასზე და სუფთად, შესდგება 403 გვერდისაგან. პეტერბურგში ღირს 2 მან. და 50 კაპ. სხვა ქალაქებში 2 მან. და 80 კ. გამოცემას ჩართული აქვს გამოჩენილის და დიდათ განვითარებულის ფრიდრიხ ენგლესის წინასიტყვაობა და ამის გარდა რუსის მთარგმნელისაგან დაწერილი წინასიტყვაობაცა. რუსის მთარ-



გმნელი სწერს, რომ ჩვენ ყველაფერი დიდის სიფრთხილით დავიცევით და ისე ვადმოვსთარგმნეთო.

წიგნი მეტის მეტი რთული რამ არის, ძნელათ გასაგები და როგორც თვით ფრიდრიხ ენგლესიც ბრძანებს, ამ „კაპიტალთან“ მჭიდრო კავშირი აქვს თითქმის ყოველ ნაირ მეცნიერებასაო, როგორც ეკონომიურს, ისევე ბუნებითი მეცნიერებას, პოლიტიკურს, გეოლოგიურს, ფიზიოლოგიურს, აგრონომიულს, მიწათმფლობელობას და განსაკუთრებით მატემატიკურს, რითაც სასეა წიგნი და რაის მეოხებთაც დიდი ცოდნა არის საჭირო, რომ ეს წიგნი წაკითხულ და გაგებულ იქმნეს.

ფრიდრიხ ენგლესის სიტყვით, კარლ მარკსს თვისი უმესანიწნავესი შრომა „კაპიტალი“ თავის ცოლისთვის უძღვნია, მაგრამ გამოცემაზე ეს არ მოუქცევიათ.

დღეს მარკსის „კაპიტალის“ პირველი ტომი ძვირი საშოვარია და ვისაც ჰსურს მისი წაკითხვა და გაცნობა, მას შეუძლიან იყიდოს ბ. ნ. ზიბერის თხუთხუთედა სახელდობრ *„დაჯილ რაკარდა, კარლ მარკსი და მათი საზოგადო ეკონომიური გამოკვლევანი“*. ამ ზიბერის წიგნში თითქმის ას ასი გვერდია გადაბეჭდილი მარკსის „კაპიტალის“ პირველი ტომიდან და გამოცემულია 1885 წ. პეტერბურგს. წიგნი კარგა სქელია, ღირს 3 მან. და 80 კაპ. თბილისშიაც ასე ისყიდება.

მეორე ტომი „კაპიტალისა“ შეიცავს კაპიტალის მიმოხილვის პროგრესს. ფრიდრიხ ენგლესის წინასიტყვაობიდან სჩანს, რომ 1870 წ. შემდეგ კარლ მარკსს დიდი ყურადღება ჰქონია მიპყრობილი რუსეთის მიწათ დამოკიდებულებაზე, ბანკებზე და სხვაზე. მს წიგნი ამით უფრო საყურადღებოა ჩვენთვის. აქვე უნდა დაეუმტოთ, რომ ამ გამოჩენილის და უძლიერესის ეკონომისტის სწავლამ დიდი გავლენა იქონია მთელს მეროპის ეკონომისტთ მეცნიერებაზე და დღეს საფრანგეთის ქალაქ პარიჟში მთელი სკოლა არის დაარსებული, რომლის წარმომადგენი მარკსის თეორიას იკვლევენ და ამ სკოლის წარმომადგენთ პირთ სახელათაც „მარკსისტები ეწოდება“.

Z.

პეტრე ილ. — ძის

ჩაიკოვსკის

პატივიცხისათვის გამართული საღამო.

შაბათს, 19 აპრილს, თბილისის თეატრში გა-

მართული იყო კონცერტი ძვირუას სტუმრის და რუსეთის მალაღ-ნიჭიერ და გამოჩენილ კომპოზიტორის პეტრე ილიასძის ჩაიკოვსკის პატივსაცემათ. ამ კონცერტის გამართვის ინიციატივა ეკუთვნის თბილისის მუსიკალურ საზოგადოებას. კონცერტის პროგრამმა შედგენილი იყო მხოლოდ ბატ. ჩაიკოვსკის პიესები-დამ. ღანიწნულს დროზედ, საღამოს 8 საათზე. მთელი თეატრი ხალხით ვაიხსო და ყველანი მოუთმენლად მოვლოდნენ საპატიო სტუმრის დანახვას. ბატ. ჩაიკოვსკისათვის მომზადებული იყო დირექტორის ლოჟა, რომელიც ამ შემთხვევისათვის, მშვენიერად იყო მართული დაფნის გირლიანდებით, ღირათი და ვენზელებით. თეატრის ფარდის ახდისათანავე ბატ. ჩაიკოვსკი ლოჟაში გამოჩნდა, ამ დროს მთელი საზოგადოება მიბრუნდა ბატ. ჩაიკოვსკის ლოჟისაკენ და აღტაცებულის ტაშის კვრით განუტყნადა თავისი თანაგრძნობა საპატიო სტუმარს. თვით სცენა ამ საღამოს მშვენიერ სურათს წარმოადგენდა; სცენაზე შეკრებილნი იყვნენ წარმომადგენლნი მუსიკისა და დრამატულ ხელოვნებისა. შემდეგ, ბატ. ჩაიკოვსკის ლოჟისთან წარსდგნენ თბილისის მუსიკალური საზოგადოების დირექტორი და თბილისის თეატრის არტისტების, ხორის და ორკესტრის დეპუტაცია. მართმა მუსიკალურ საზოგადოების დირექტორთაგანმა ბატ. ალიხანოვმა წარმოსთქვა სიტყვა. მს სიტყვა საზოგადოებაში ფეხზე დგომით მოისმინა და ძრვიელი შთაბეჭდილებაც მოახდინა მათზე. მს სიტყვა იმავე აღტაცებით და ტაშის კვრით იყო მიღებული საზოგადოებისაგან. ამის შემდეგ, მეორე დირექტორმა ბატ. იპპოლიტოვიჩანოვმა მიართვა ბატ. ჩაიკოვსკის თვისივე სურათი ვერცხლში მოკაზმული, რომელიც წარმოადგენდა დაფნის გვირგვინს; ამ გვირგვინის მეორე მხარეზე წარწერილი იყო იმ არტისტების სახელები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ამ საღამოს კონცერტში. ამ დროს ორკესტრი და ხორო ასრულებდა *„Справщик“*-ს ოპერადამ *„მაზეპა“*, რომელიც საზოგადოების თხოვნით განმეორებული იყო. ამ გვარმა გულწრფელმა დახვედრამ თვით ბატ. ჩაიკოვსკიზედაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და მალაღ-ნიჭიერმა კომპოზიტორმა აღლევებით მადლობა გამოუტყნადა არტისტებს და საზოგადოებას თავის დაკვრით. არტისტებმაც მრავალი დაფნის გვირგვინები მიართვეს. შემდეგ კონცერტი დაიწყო, მონაწილეობას იღებდნენ: ქალ. ზარუნაია, ბ.ბ. ლოდი, შორღანოვი, გორსკი, ხორო და ორკესტრი ბატ. იპპოლიტოვიჩანოვის ხელმძღვანელობით. კონცერტი გათავდა შუალამეს და საზოგადოება დაიშალა.



ბატ. ჩაიკოვსკის ნიქს, სხვათა შორის, ეკუთვნის შემდეგი ოპერები: «ევგენი ონეგინი, მაზეა», «არლესნის ქანწული» და სხვ



თათრული თეატრი.

მცადა ოთხს აპრილს, არწრუნისეულს თეატრში სომხური დასის არტისტმა ბ. საფრაზიანმა და არტისტკამ ალმა თათრული სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოადგინა გამართეს თათრულს ენაზედ. ეს მოვლენა მეტად საყურადღებოა, რადგანაც ჩვენს მხარეზედ პირველი თათრულს ენაზედ თამაშობა; ჩვენის აზრით ამ გვარი ჩამორჩენა თათრების მხრივ, იმის მიზეზი კი არ არის, რომ იმათ არ შეეძლოთ თეატრალური ხელოვნების შესწავლა და შეთვისება, არამედ უთაურობა და გაუბედაობა. ძაცმა თუ გულ მხურვალედ საქმეს ხელი მოჰკიდა, მოღვაწეობა და ოფლი არ დაიშურა, უეჭველია საქმეს რიგიანად დაბოლოვებს, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელს დროს თათრებმა სწავლა-განათლებას ხელი მოჰკიდეს და თითქმის, რომ დიდ მანძილზედ დაშორდნენ აწინდელს ცრუმორწმუნეობას და უსაბუთო რჯულის კანონ დებულებას. მართლაც რომ თათრების საქმე გასაკურველია, ამოდონა ხოტბო ხალხი სცხოვრობს თბილისის გუბერნიაში და თვით მთელს ქავკასიაში და მწერლობა კი სრულიად მოუძღვრებულა; მართალია, წასრულშია კი არა ყოფილა ძალიან აყვავებული სპარსელების ცივილიზაცია, მაგრამ რით ვერ გამოიცინეს რომ ეხლა მეცხრამეტე საუკუნეს დასასრულია და ცივილიზაციას უკავია მთელს კაცობრიობის უმწვევრვალესი დროშა, რომელიც გამაღებელი მიეღვტვის სრულს განვითარებამდის. რომელს ერსაც ლიტერატურის, ხელოვნების, მუსიკის და ბუნებითი მეცნიერების შეთვისება არ სურს, ის სრულიად ჩამორჩება კაცობრიობას და უკან დაბრუნდება იმის ცხოვრების ჩარხებში: აი, ის უმთავრესი იარაღი, რომლითაც უნდა ებრძოლოს ბუნებითი მანვე მოვლინებებს; აი, ეს უმთავრესი ცხოვრების საგანი სპარსელებს ბოლოს პლანზედ მოუქცევიათ და შაქარ ბათებისთვის უნაცვალეობათ; მაგრამ ამ პირველმა ნაბიჯმა სწორედ, რომ რიგიანი შთაბეჭდილება იქონია ჩვენზედა და დამტკიცდა კიდევაც, რომ თუ ხელს მოჰკიდებენ სცენის მოყვარნი და თამაშობას დაიწყებენ, დარწმუნებული ვართ, რომ საქმე რიგიანათ წავა. აგრეთვე იმაშიაც დარწმუნებული ვართ, რომ თათრული საზოგადოებაც, როგორც დროების გატარების

მოსიყვარულე ხალხი, უყურადღებოთ არ დასტოვებს და შემწეობას მისცემენ.

სწორეთ, რომ მადლობის ღირსნი არიან ბ. საფრაზიანი და ქ. ალმა ამ წარმოდგენის გამართვის გულისათვის.

ამ საღამოს წარმოადგინეს «შატალი შახი» დრამა-კომედია სამს მოქმედებათ თხზ. მ. მადათოვისა. საერთოთ ეს პიესა სცენიკურათ ვერ არის დაწერილი, მაგრამ ნამდვილი სურათებია.

თუ რომ მოთხონილება იქმნება, მთარგმნელნი და შემთხველნი გამოჩნდებიან, თორემ როგორც გაევიგეთ, თურმე თათრულს ენაზედ სულ ხუთი პიესა არ არისო. რასაკურველია ამისთანა ღირსს რეპერტუარს თეატრის მუშაობა არ შეუძლიან, მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, რომ თუ მოთხონილება იქმნება მწერალნიც გამოჩნდებიან. საერთოდ ამ დრამამ კარგად ჩაიარა, როგორც პირველი ცდა და პირველად მოთამაშენი, განსაკუთრებით კარგათ ითამაშა ბ. საფრაზიანმა.

იმედია, შემდეგისთვის ხელს მოჰკიდებენ თათრული სცენის მოყვარნი და წარმოდგენებს გამართავენ თავიანთ ნაციონალურს ენაზედ და რიგიანათ განაგრძელებენ ამ ფრიად საჭირო საქმის მოღვაწეობას. ამ წარმოდგენაზედ ბლომა ხალხი დაესწრო, როგორც თათრები, აგრეთვე ქართველები და სომხები.



რუსული ოპერა

ხუთშაბათს, 24 აპრილს, თბილისის თეატრში წარმოადგინეს სამ მოქმედებანი ფანტასტიური ოპერა «დემონი» რუბინშტეინის მუსიკით. მუსიკის უცოდინარობის გამო, მე ვერას ვიტყვი, როგორი იყო წარმოდგენა მუსიკის მხრით, მაგრამ რაიცა შეეხება თამაშობას, თამამად შემძლია ვსთქვა, რომ ზოგიერთი მოქმედნი პირნი რიგიანად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. მეტადრე ქ. ქ. რიადნოვისა (თამარა), სმირნოვისა (ანგელოზი), ბატ. ლოდი (თავ. სინოდალი) და ბატ. იაკოვლევი (დემონი). ბატ. მოლჩანოვსკი ჩვენი დროის დარბაისელ თავადს უფრო მოგვაგონებდა, მინამ ძველ დროის პირს. თამაშობითაც ვერ ითამაშა რიგიანად. როცა იმისი ქალი იტანჯება ის თითქმის ვერც კი გრძნობდა. სხვა ოპერებისა რა მოგახსენოთ და «დემონის» დადგმაში კი რეჟისიორს, მგონია არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და თუ მიუღია, უეჭველია, ის ისე იცნობს ქართველებს, როგორც მე ჩინელებს. საიდგან წარმოუდგენია ბატ. რეჟისიორს, რომ თავსაკრავისა და ლენაქის დახურვა საქაო იყოს ქართველ ქალების ტიპების გამოსახატავად, ან კიდევ როდის იყო, რომ ძველ დროის ქართველებს (ისიც მთიულებს) ევროპიული ხარაზების ჩექმები სცმოდეთ. ერთის სიტყვით სცენაზე, მართა-



ლია, თუმცა, ოპერის შინაარსით, ქართველები მოქმედობდნენ, მაგრამ ქართველებს სრულებით არ ჰგეანდნენ. ლეკურიც ახირებული იყო. სამაგიეროთ, ფინალი ოპერისა, როცა ანგელოზს მამარი ზეცას აპყავს, კაცის თვალი უცეთეს სანახავს ვერსად ნახვდა, ისე ხელოვნურად იყო აღსრულებული ცხოველი სურათი. ხალხი ბლომად დავსწრო და გათაყვების შემდეგ მაყურებლებმა რამდენჯერმე გამოიწვიეს ტაშით და ბრავოთი ქალ. სმირნოვისა, რიადნოვისა და ბ. იაკოვლევს.

სახალხო ლექსები

(შეკრებილი სოფიო ჯაჯანაშვილისაგან სოფ. ჩივანთუბანში).

თვალი მივიგავს მაყვალსა,  
ახალ-ახალსა ასულსა,  
პირი ბროლისა ფიქალსა,  
მერცხლიდგან გადახატულსა.  
შენთა ბავთა ციმციმა,  
ბამყარა ხორცსა და სულსა,  
მერვისთვის მიმგზავსებინარ,  
ჰვევხარ ხელმწიფის ასულსა.

\* \*

წიგნი მოგწერე მოგართვი,  
თავსა დაუსვი ინი მე,  
წაიკითხო, გაიცინე  
ლამაზო, შენი ჭირიმი;  
დღისით მკლავს შენი სურვილი,  
ღამე ვზივარ და ესტირი მე.

\* \*

ჩარდახში ზიხარ, ლამაზო,  
ბარს ვალავანი ვავლია;  
თვალისა სურმა ვიხდება,  
ბარს თეთრი ჩხირი \*) ვივლია.  
მათიბი კარგი ჩავიცვამს  
არშია შემოგივლია,  
ჩემს ნახვას აღარ კადრულობ,  
მე კული შემოგივლია.

\* \*

ნარიმან შენსა ვენახსა,

\*) კაზმულობა.

ჰიგო უდგია მსხლისაო,  
იმას რაც ღვინო გამოვა,  
ნახევარია სხვისაო.

\* \*

ძალმა სთქვა ახალ-გაზდასა,  
სიცილით შევიყვარეფო.  
შორიდგან დავწვამ, დავდავამ,  
ახლოს არ მივიკარეფო.

\* \*

. ღმერთო ნუ შეჭერი ვაქცასა:  
სოლსა ყბედსა და მძინარსა,  
ის მოჰკლავს, ის დააბერებს,  
ის შერთავს წყალსა მდინარსა.

—  
გამოკანა.

ღადგეს სკამი და დაადგეს გუმბათი კამარინი,  
ზედან დაწყეს ზოდები ვერცხლია ანუ ხიანი;  
შევილი ნარგიზს მიუვავს, ურიცხვი ვარსკვლავიანი  
ბევრდას უსხედან ტურფანი, ქალნი პირ მარცხინი.

შეშლილი სიყვარულისაგან \*)

დრამა 5 მოქმედ. ოსს. დონ-მანუელ ტამისი და ბაუსის

სცენა XI

დედოფალი, ადმირალი, დონ ხუან მანუელი,  
მარკიზ დე-ვილიენა, ვერე, რამდენიმე სხვა გრანდი,  
მერე ელვირა და დედოფლის სეფექალები.

ადმირალი. (გრანდებს, რომლებიც ამითგან მარჯვნივ დადგან) ვნახათ შემოილია იგი თუ არა კკუაზე? (დედოფალს) სამწუვარო მოვალეობამ გვაიძულა მოესულიყავით თქვენთან, დედოფალო.

დედოფალი. რა ამბავია?

ადმირალი. მთელ სახემწიფოს დიდი განსაცდელი მევლის; მარტო ერთს თქვენ დიდებულებას შეუძლიან მისი დახსნა...

დედოფალი. სთქვით. დედა ჩემმა სამკვიდროდ და-მიტოვა ხალხისადმი სიყვარული.

ადმირალი. (გულწრფელი კმაყოფილებით) გაიგონეთ? (დედოფალს) განაგებით, დედოფალო, თქვენ თვითონ თქვენი სახემწიფონი, თორემ მათი დაღუპვის

\*) იხილეთ „თეატრი“ № 16.



მოწამე გაჰხდებით. თქვენ—კანონიერი დედოფალი ბძანდებით.

დედოფალი. ხომ ვერ? მე—დედოფალი ვარ, ერთად ერთი ბრძანებელი სახემწიფოსი.

ადმირალი. რაღა დავიმალოთ. მევე ბოროტ-მოქმედობს იმ რწმუნებით, რა რწმუნებაც თქვენგანა აქვს ნაბოძები...

დედოფალი მართალს ამბობთ. მევე ყოველ მაკაცსზე გარყენილია.

ადმირალი. (გაოცებით უტკერის დედოფალს) მე ამას არ მოგახსენებდით, დედოფალო.

დედოფალი. ამას მე ვამბობ, იგი მოლაღატა!

ადმირალი. (თავისთვის) ოჰ, ზეცაო! (განსაკუთრებითი ჩოჩქოლი, დაცნენითა ღიმილი დონ ხუან-მანუელისა, მარკოზ ვილიენის და ვერესი)

დედოფალი. (თავისთვის) აქამდის რა იქნენ იგინი?

ადმირალი. დედოფალო, ფლამანდელები აქცევენ და ლუბამენ ქასტილიას. მალიადლოდში მევე ახალ გადასახადს ითხოვს, საერთო შიმშილი კი აუძლოურებს ხალხს.

დედოფალი. როგორ! ხალხსა შიან? ფლამანდელები კი მდიდრდებიან? მევე... (თავისთვის, როდესაც ეღვირას და სეფექალებს დანახავს) ძლივს! (ეღვირას) სუყველანი მოვიდნენ?

კლეოპატრა. მარტო დონა ბეატრისა არ მოსულა ჯერ, იმასაც უთხარი მოდი მეთქი.

დედოფალი. (თავისთვის) ამთში რომელი უნდა იყვას? (ხმა მალლა) სინიორა ხავალი კინტო, დასწერეთ რამე აქ (სეფექალი, რომელსაც დედოფალი ელაზარაკება, სწერს)

ადმირალი. (ცდლობს დედოფლის ყურადღება მიიბყროს) მე თქვენი ღიდებულება ყურს არ მიგდებს, ამ კრებაზე კია დამოკიდებული მომავალი სახემწიფოსი.

დედოფალი. მე ყურს გიკლებთ: თქვენა სთქვით, რომ ფლამანდელები... გააგრძელებთ...

ადმირალი. მაშასადამე, დედოფალო...

დედოფალი. (მიცე სტოლთან და სეფექალის დასწერის ადრის აღდრას ნაწერთან), გრაფინია, ეხლა თქვენ. (ესაც დაჯდება და სწერს).

ადმირალი. ბანა მადგენად საჭიროა ყველა ნაწერების შინჯვა?

დედოფალი. საჭიროა? ყველაფერზე უსაჭიროესი ეს არის.

ადმირალი. სახემწიფოს დახსნაზედაც?

დედოფალი. რასაკვირველია!.. მხლა თქვენ, ლეონორა (ესეც სწერს)

მარკოზი. (გრანდებს) უცნაური ქინიანობაა!

ადმირალი. (ადმირალს) ეხლა ხომ დარწმუნდით?

1 დარწმუნებული. მქვი არ არის, ბატ. აღმირალო, რომ დედოფალი კკუაზე, შეშლილა.

ადმირალი. (ძალას ატანს) დედოფალო, მოსმინეთ ჩემი სიტყვა. ფიქრობენ, რომ მითომ თქვენ სახემწიფოს მმართვა არ შეეძლოთ. საჭიროა ამ ექვის გაფანტვა.

დედოფალი. მე ყველაფერზე თანახმა ვარ, რაც გენებოთ ისა ქენით. (წინანდებურად) ეხლა... ეხლა... სუყველამ დასწერეთ. (სწერენ ზოგიერთნი)

ადმირალი. დედოფალო, მთელი ისპანია აღელვებს აპირობს...

დედოფალი. დეე აღელდნენ, მოვიდა დრო, რომ ავსტრიელებს ეშინოდეთ ჩვენი!

ადმირალი. ღა მევე... მევე — თქვენი ღიდი მტერია, იგი გლაღატობთ... თქვენ რომ იცოდეთ... (მევის მომხრენი აღმირალზე უკმაყოფილებას და სიბრაზეს იჩენენ; ამის სითამამეს ყველანი განცვიფრებაში მოჰყავს).

დედოფალი. მიცი... (ჩუმად აღმირალს) იქნება იმას თქვენ იცნობდეთ, აბა ამთში რომელია?

ადმირალი. (თავისთვის) წმინდა ღმერთო! (ხმა მალლა) მე ვერ გამოვიდა თქვენი ღიდებულება რაზედ მელაპარაკება...

დედოფალი. მე კი გაგებული მაქვს! (სეფექალებს, რომელთაც არ დაუწერიათ) თქვენ? თქვენ რატომ აღარა სწერთ?

1 სეფექალი. ჩვენ არ ვიცით წერა.

დედოფალი. (თავისთვის) იქნება რომელიმე მიხედა ჩემს განძრახვას? (ხმა მალლა) თქვენ წერა არ იცით? ტყუილია! ბატონებო, მართლა ამთ წერა არ იცინა?

1 სეფექალი. ჩვენ მართალს მოგახსენებთ თქვენ ღიდებულებას.

დედოფალი. (თავისთვის) ამთ მე ვერ გაეტყვ. შესაძლოა ვინმემ ამთში შესცვალა ხელი. (ავანსცენაზე გამოიყვანს ერთს ქალს, თვალბში ჩაატკურდება და მხარზე ხელს დაადებს) ლეონორა, მოდი აქ. აბა თვალბში მიყურე.

ადმირალი. ბანა ცხადი არ ჯრი მისი შემოღობობა?

დედოფალი. (თავისთვის) არ შეერთა იგი. (სხვა სეფექალებს) გრაფინია, ახალი რაა სასტუმროში?

2 სეფექალი. რომელ სასტუმროში, დედოფალო?



დედოფალი. (თავისთვის) იგი თვალ-მაქცობს (ხმა მალლა დარბაისლებს) თქვენგანს ვერავის შეუძლიან მითხრას—ამათგანი რომელი სცხოვრებდა აქვე ახლო სასტუმროში? (სუყველანი უარის ნიშანს აძლევენ და დედოფალი თავ-ზარდაცემული მოშორდება)

ადმირალი. (ზოგიერთებს, რომლებიც იცინიან) პატივისცემა საცოდავს, რაინდებო!

დედოფალი. თქვენ მალაქობთ, ყველანი მატყუებთ! წადით, მოშორდით აქედან! (ელვირას, რომელიც დედოფალთან მივა) დამეხსენი, ელვირა.

დონ ალვარს მსჯელი. (ადმირალს) ეხლაც ექვობთ?

ადმირალი. (თავისთვის) რას ნიშნავს სუყველა ეს?..

დარბაისკლანი. (ჩუმად) იგი შემოილია, შემოილია კუპაზედ (ყველანი გადიან დედოფლის გარდა).

დედოფალი. იგი დონ ალვარს ეცნობება. მე იმას მართალს ვათქმევინებ. (პაქს, რომელიც შემოდის) უთხარი კაპიტან დონ ალვარს, რომ იგი ეხლავე აქ მოვიდეს. თუ სასახლეში არ არის, მოძებნეთ სადაც იყევს! (პაქი გადის)

სცენა XII

დედოფალი, მერე დონ ალვარი, შემდეგ ალდარა.

დედოფალი. ჯერ ბეატრისას არ დაუწერია. ისიც მოვა და დასწერს... ის ხომ არ არის? ყველანი შენს ხელში იყევს და არ იცოდენ კი თუ რომელია იგი!.. ფლანდრიაში მაგიერი გადაუხადე: ჩემს მეტოქეს მოვაშორე ძვირფასი თმა, რომლითაც ჩემი ქმარი ასე ალტაცებაში მოდიოდა... მაგრამ ეხლა უფრო დიდი მაგიერის გადახდა მაინდება... ოჰ, შე დაწყევლილო აღამიანის დიდებავ! რატომ ღარიბად არ დავიბადე მე? უბრალო დღიური მუშა არ მამაყენებდა ამ გვარ შეურაცხობას. მარტო მეფეს შეუძლიან ერთს ჰერქვეშ იყოლიოს ცოლი და საყვარელი. ღმერთო ჩემო! თუ დედამწაზე სათნოებას რაიმე ჯილდო მიუძღვის, ოჰ, რა დიდი იქნება შენი მოწყალება დამნაშავეებისადმი!

დონ ალვარი. (შემოდის) თქვენ დავიბარებივართ.

დედოფალი. დიხ! თქვენ დავიბარეთ იმისთვის, რომ გითხრათ თქვენ თუ რა სულით მდაბალი მატყუარა ბძანებულხართ.

დონ ალვარი. დედოფალო!

დედოფალი. სასტუმროში მცხოვრები მანდილოსანი სასახლეშია. თქვენც ისე როგორც სხვებმა, მამატყუეთ! ახალი ტყუილისთვის ნუ შეიწუხებთ თავს: დაჰხედეთ ამ წერილს.

დონ ალვარი. (თავისთვის) ეს იმის წერილია!

დედოფალი. რატომ მართალი არ მითხარით?

დონ ალვარი. თქვენ ხელშია ჩემი სიცოცხლე. მე სიკვდილი მსურს.

დედოფალი. ახლა თქვენ სიცოცხლეზე მაფიქრე. შევლავერი სისხლით არ გაიბანება.

დონ ალვარი. ჯერ იმ დედაკაცმა არ იცის ეს ამბავი?

დედოფალი. არა ჯერ არ იცის, მაგრამ ამ წამში კი გაიგებს.

დონ ალვარი. მე ვნახე იმას, და იძულებულს გავხდი წავიდეს აქედან.

დედოფალი. წავიდეს? თქვენა იქნება გგონიათ, რომ მე იმას გაუშვებ?

დონ ალვარი. წაანებეთ თავი თქვენ განძახებას, ნუ ნახათ იმ დედაკაცს. მამანდეთ მე და იმას მალე დავატოვებინებ ამ ადგილებს...

დედოფალი. (თავისთვის) მის სახელს არ ამბობს!

დონ ალვარი. დედის ხსოვნით, თქვენი შვილების სიცოცხლით გვედრებით... (დაცემა მის წინ)

დედოფალი. (თავისთვის) კიდევ არ ამბობს სახელს!

დონ ალვარი. რა გადასწყვეტეთ?

დედოფალი. მაგიერის გადახდა, კაპიტანო, მაგიერის გადახდა!

ადმირალი. (მარცხნივ შემოდის) მის წინ დაჩოქილა!

დონ ალვარი. (ადგება, როცა ალდარას დანახავს) ოჰ, რა მწარე ხვედრია!

დედოფალი. როგორ?

დონ ალვარი. თუ ღმერთი გწამთ, დედოფალო, მაგასთან თავს ნუ დაიმკირებთ!

დედოფალი. მაშეგ ის არის, ის?

დონ ალვარი. ბანა არ იცოდით?

დედოფალი. თქვენგან გავიგე.

დონ ალვარი. შეჩვენებავ!

დედოფალი. წადით თქვენ.

დონ ალვარი. თავი შეიკავეთ.

დედოფალი. მღეთის გულისთვის! წადით.

დონ ალვარი. მე შორს არსად წავალ (გაეა კარებში, რომელიც სიღრმეშია).

სცენა XIII

დედოფალი და ალდარა.

დედოფალი. (მიიბრუნს ალდარასთან და წერილს აჩვენებს) თქვენია ეს წერილი?



აღდაწა. (თავისთვის) იმას გაუცივარ!  
დედოფალი. მიპასუხეთ!  
აღდაწა. ჩემია.

დედოფალი. თქვენია? არ მალაეთ მაინც! თქვენ კიდევ არ გინდათ ბოდიში მოიხადოთ? არ გინდათ დაიხოქოთ ჩემს წინაშე? დაიხოქეთ საზიზღარო! (მივარდება აღდარას და ძალათ აჩოქებს).

აღდაწა. (ეწინააღმდეგება) ყველანი ხომ მოვალენი არ არიან თქვენ წინ დაიხოქონ.

დედოფალი. მს სიზმარი ხომ არ არის? რას მეუბნება ეს დედაკაცი? იგი ურჩობს კიდევ?

აღდაწა. თქვენ მეფის ასული ხართ—მეც..

დედოფალი. შენც?

აღდაწა. თქვენ გეჯავრებით იმისთვის, რომ მე თქვენ ქმარს უყვარვარ, მე თქვენა მძულხართ იმისთვის, რომ თქვენ გიყვართ ის, რომელიც მე მიყვარს, იმისთვის რომ თქვენ გრწამსთ იესო, მე მამპაღი, იმისთვის რომ თქვენა ხართ ასული იზაბელასი, მეკი მულეი აედალის-ზაგალის მეფის ქალიშვილი ვარ! აი რისთვისა მძულხართ თქვენ!

დედოფალი. მაშ შენ, ურწმუნოვ, მტერი ხარ ჩემი ღმერთისა? ო, ეხლა უფრო ბევრდება ბიწიერება შენში, და სიმდაბლე იმასში! ამითი უფრო შეურაცხე დედოფალი—ქრისტიანი. შენ ცუდი ჰქენი რომ სიცრუეს და მცბიერებას გადაუხვიე: იმითი ჩემზე ძალოვანი იყვი, ეხლა კი, უღაბნოის ეფუხეს, გაგიჭირდება პირ-და-პირ ბრძოლა ძასტილიის ძუ-ლომთან.

აღდაწა. ძასტილიის ძუ-ლომო, უღაბნოის ეფუხე-მა ერთხელ კიდევ დაგამარცხა.

დედოფალი. ბანა შენ არ იცი, რომ მაგ სიამაყით საცხე ევენით აბევერბ შენს ქცევას და ჩემს განრისხებას და მასთან შენს სასჯელსაც? თუ შენ ჯერ ცოცხალი ხარ—ეგ იმისთვის რომ ჯერ არ ამამირჩევი რა გვარი სიკვდილის ღირსი ხარ შენ! მე ვერ მამიგონია წამება, რომელიც უღრიდეს შენს საქციელს. ო, რა ბედნიერები არიან მამაკანი! თუ რომელიმე მათგანი ვისგანმე შეურაცხობილად გრძნობს თავის თავს, იგი ცდილობს მოწინააღმდეგის შეხვედრას და სადაც უნდა შეჭხედეს იგი ხელთათმანს ესვრის პირში. თუ ამასთან მოწამეც დაესწრო—უფრო კარგი—იგი მივარდება მოწინააღმდეგეს, და იბრძვის მასთან. აი რა გვარად მინდოდა შენი დასჯა! აი სწორეთ, სწორეთ ასე მინდა სამაგიერო გარდაგინადო!

აღდაწა. ღა მეც თქვენ.

დედოფალი. მართლა? მოიცადე, მოიცა! (საჩქაროდ გაეა მარჯენიე მეფის ოთახში).

## სკანა XIV

აღდარა მარტო, მერე პაყები და ღონ ალღარი, დედოფალი. მეფე, ადმირალი, მარლიანო, ღონ ხუან მანუელი, მარკიზ დე-ვილიენა, ვერე, დარბაისლები, ექიმები, მანდილოსნები და პაყები.

აღდაწა. (მიირბენს კარებთან, რომელიც სიღრმეშია) ეი, პაყებო! მოდით აქ! ჩქარა მოდით!

პაყები. (შემოცივიან) რა გნებაეთ?

აღდაწა. სიგიჟე მორეულს დედოფალს ჩემი მოკვლა უნდა. იგი გახელებულია. გაიქცეთ, დაუძახეთ მეფეს, სუყველანი მოვიდნენ! (პაყები გადიან) კაი შემთხვევა! მხლა ვინ არ დარწმუნდება რომ იგი ჭკუიდან არის შემოილილი?

ღონ ალღარი. (გამოეა მარჯენიე და ძალზე სტაცებს აღდარას ხელს) თქვენ რა გნებაეთ?

აღდაწა. შურს მიგდებდით?

ღონ ალღარი. თქვენგან მე იგი უნდა დავიფარო.

აღდაწა. ღა რომ დავგიანებული-ლა იყვეს.

ღონ ალღარი. ხომ ჰხედაეთ, რომ ჩემს მაგიერ პასუხს არ ვიძლევი!

აღდაწა. მოიგონეთ ბატონო ისპანიის კაპიტანო, რომ თქვენ დედა-კაცთან ლაპარაკობთ!

ღონ ალღარი. თქვენ არ შეასრულეთ ჩემი თხოვნა...

აღდაწა. მე მძულს თქვენი დამუქრება.

დედოფალი. (შემოაქვს ორი ხმალი, ერთს აღდარას გადუგდებს) აილე!

ღონ ალღარი. დამშვიდდით, დედოფალო, მეფე მოდის აქ.

დედოფალი. ძალიან მოხარული ვარ! მე დავინახე ამას გული როგორ აუთრთოლდება საყვარლისთვის.

ღონ ალღარი. ოთახები ივსება ხალხით...

დედოფალი. შურო კარგი! შურის ძიებას მოწმები ეყოლება!

ღონ ალღარი. საცოდავო! მართლდაც და თავის თვლებით ყველა დარწმუნდება რომ .. იქნება თქვენ ყველაფრის თქმა მოგინდეთ. შეუსაბამო მანქანება მზადდება თქვენ წინააღმდეგ. მეფესა სურს დალიჯი წავართოს და სატუსალოში ჩავამწყვდიოს სამუდამოდ.

დედოფალი. მე? თავისი დედოფალი? თავისი ცოლი, დედა თავისი შვილებისა? (ტრემლები აწყვეტინებენ სიტყვას).

ღონ ალღარი. მერე რა საფუძველზე აშენებს თავის განძრახვას! ამაზედ უპატონო, და სასტიკი



ჯერ არ გავიხსენი, არა არის რა! თავად-აზნაურები, თქვენი ექიმები, და სუყველა სასახლეში მყოფნი მიფესთან ერთად იძახიან...

დელოიალი. მასრულეთ.

დონ ალკარი. იძახიან, რომ თქვენ მათომ ქუაზე შეიშალენით.

დელოიალი, ლმერთო ჩემო! მე ქუაზე შესილის მეძახიან. (საშინლად დაიწივლებს და ხმალს გაადიდებს ხელიდან)

მეკუ. შემოდის თავისი კეზულით კარებში რომელიც სიღრმეშია; იგი სწრაჲდ მივა დიდოფალთან, და როდესაც მიხვდება რაშია არის საქმე, ცოტა ხნის შემდეგ იტყვის) ოჰ, საკოდაო, ქუაზე. ქუაზე შემლილხარ!

დელოიალი. მე შევიშალე ქუაზე? მე შესილილი ვარ! ოჰ, როდის იქნება ეს მართალი იქვეს! რატომაც არა! მქამები ამას ამტკიცებენ, ყველა ჩვენს დახლოებულთა სჯერათ ეს. ამისთვის სუველაფერი რაც მე მომივიდა ჩემი შესილილობის შეევი იყო, აქ ჩემი ძვირუფესი მეუღლის ღალატი არაფრის შუაში არ არის. დიახ, სწორეთ, სწორეთ ეს ასეა: ფილიპეს უ ვარჯარ მე! მე არც ერთ სასტუმროში არა ვყოფილვარ, მე წერილი არა წამიკითხავს რა! ეს დედა-ცაცი აღდარა არ არის, ბეატრისაა, დონ ხუან მანუელის ნათესავია, და არა გრენადის მეფის ასული. ამ ტყუილს როგორ დავიჯერებდი. ყველაფერი, სუველაფერი ეს, შედეგია ჩემი შესილილობისა, მართალი არ არის, მარლიანო? (ყველას ეკითხება, ვის სახელსაც ამბობს) ხომ ვგრევა, გრანდებო! მგრე ხომ, სენიორა? მგრევა, კაპიტანო? ჩემო მეუღლე, ხომ ესეა? ხომ მართალია—რომ მე ქუაზე ვარ შესილილი? დიახ, მართალია... ამას დამტკიცება არ უნდა! ლმერთო ჩემო, რა სიკეთეა! მე მეგონა უბედური ვარ მეთქი, მაგრამ ეს ტყუილი გამოდგა, მე თურმე შესილილი ვყოფილვარ!

ს. რ — თ — მ. ს. ა.

დასასრული მესამე მოქმედებისა.

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 26 апрѣля

# „თამარ ცხიერია“

ისტორიული დრამატული ზოგმა აბაქისა,

ისუიდება მარიაჯის ბიბლიოთეკაში, გოლოკინის პრინციპალს, მუსრან-ბატონის სახლში და გრაქროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი 50 ი შაური. (10—3)

**სურათები**

ჩვენი ზოგებისა და მწერლებისა

საბუი წამოთელი

ბა. ოკბელიანი

ილია ჭავჭავაძე

სერგეი პოლოცკი

ბიორზი მარისტავი

სიმონი მუსხიშვილი

ჩისებულ ალექსანდროვის ქალღმრთელ მსტეროა: ა. ბერძენისა

ისუიდება გრაქროვის წიგნის მაღაზიაში, პუკის ხიდის ყურზე, ზუბალოვის სახლებში და ი. საფაროვის ბაკალენი მაღაზიაში, პრინციპალს ქარვასლაში.

გინც ათს 56 მეტს სურათის გამოაქვს, მას თათო სურათი 16 კაბ. დაეთმება.

Типографія Меликова. სტამ. მელიქიშვილისა.